

მდგრადი განვითარების მე-5 მიზნის “გენდერული თანასწორობა” შეფასება საქართველოში


მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის
გენდერული ასპექტები საქართველოში

შეხვედრა სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ

თბილისი, 2018




შინაარსი



შესავალი კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენდა, იმ საკითხების წინ წამოწევა, რომელიც აძლიერებს გენდერულ უთანასწორობას საზოგადოებაში.

- მდგრადი განვითარების #5 მიზნის ოთხი ინდიკატორის საბაზისო კვლევა
- მდგრადი განვითარების #5 მიზნის ნაციონალიზაციის პროცესის შესწავლა



შრომის დანაწილება
ქალებსა და მამაკაცებს
შორის როგორც ეროვნულ,
ასევე ადგილობრივ დონეზე

ქალების მხრიდან
რესურსებზე
ხელმისაწვდომობა, მათზე
ძალაუფლება და
კონტროლი

მოწყვლადი ჯგუფების
გამოწვევები

შესავალი

შერჩეული თემატური სფეროები

რესურსებზე წვდომა, ძალაუფლება
და კონტროლი / მოწყვლადი
ჯგუფები

სამუშაოს დანაწილება
ქალებსა და კაცებს
შორის/მოწყვლადი
ჯგუფები

5.5.1

ქალების
რაოდენობა
პარლამენტსა
და
ადგილობრივი
თვითმმართველობის
ორგანოებში

5.5.2

ქალების
რაოდენობა
მმართველ
პოზიციებზე


5.ა.1

ა) სოფლად
მცხოვრები იმ
მოსახლეობის
პროპორციული
ოდენობა, რომელსაც
აქვს საკუთრების ან
გარანტირებული
უფლებები
სასოფლო-
სამეურნეო მიწაზე,
სქესის მიხედვით; /ბ)
სასოფლო-
სამეურნეო მიწაზე
საკუთრების ან
გარანტირებული
უფლების მქონე
მოსახლეობას შორის
ქალთა წილი

5.4.1

აუნაზღაურებელ
ზრუნვასა
და საოჯახო
საქმიანობაზე
დახარჯული
დროის
პროპორციული
რაოდენობა
სქესის, ასაკისა
და ადგილის
მიხედვით

კვლევის მეთოდოლოგია



რესურსებზე წვდომა, ძალაუფლება და კონტროლი

ქალების რაოდენობა პარლამენტსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში

ქალების პროცენტული მაჩვენებელი პარლამენტში


ქალების პროცენტული მაჩვენებელი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში

ინდიკატორი
5.5.1.

ქალთა პროცენტული მაჩვენებელი სხვა სახელისუფლებო შტოებში

მოსახლეობის დამოკიდებულება ქალთა პარლამენტში წარმომადგენლობის შესახებ

შედეგები



არ ხდება გენდერული მენსტრიმინგი არც ცენტრალურ და არც ადგილობრივ ხელისუფლებაში;

განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები არიან იგნორირებულნი

შედეგები



ამომრჩეველს ურჩევნია ხმა მამაკაც კანდიდატს მისცეს (69%)

ქალებს არ ზრდიან ლიდერებად (60%)

ქალებს არ აქვთ ისეთი კავშირები, როგორც მამაკაცებს (60%)

ქალებს არ აქვთ საკმარისი დრო პოლიტიკისთვის, საოჯახო საქმეების გამო (58%)

პოლიტიკურ პარტიებში ქალებს დაწინაურების კარგი შესაძლებლობა აქვთ (68%)



დასკვნა

ქალთა პოლიტიკაში წარმომადგენლობის მაჩვენებელი საგრძნობლად დაბალია. გენდერული მენსტრიმინგი არ ხდება არც ცენტრალური და არც ადგილობრივი პოლიტიკის დონეზე. ქალთა ჩართულობა პოლიტიკაში არ წარმოადგენს აქტუალურ საკითხს პოლიტიკური პარტიებისთვის. ხაზგასასმელია, სოფლად მცხოვრები და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები, რომლებიც იგნორირებულნი არიან.



გამოიკვეთა მოსახლეობის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ქალთა პოლიტიკური ჩართულობის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა აცნობიერებს ქალების წინაშე არსებულ ბარიერებსა და იმ უპირატესობებს, რომლებიც საზოგადოებაში მამაკაცებს გააჩნიათ, მიიჩნევს, რომ პოლიტიკურ პარტიებში ქალებს დაწინაურების კარგი შესაძლებლობები აქვთ.

რესურსებზე წვდომა, უფლება და კონტროლი

ქალების რაოდენობა მმართველ პოზიციებზე



ქალების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც დასაქმებულები არიან საშუალო და მაღალ მენეჯერულ რგოლებში

- ორგანიზაციის დირექტორები
- ორგანიზაციის დაამფუძნებლები
- საჯარო მოხელეები
- ელჩები
- ბიზნესის მფლობელი ქალები

ინდიკატორი
5.5.2.

მოსახლეობის დამოკიდებულება ქალთა მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმების მიმართ


შედეგები



დასკვნა



მმართველ პოზიციაზე მამაკაცების რაოდენობა ორჯერ აღემატება ქალების რაოდენობას



საზოგადოებაში, ჯერაც ფართოდ არის გავრცელებული სტერეოტიპები ქალთა საქმიანობის სფეროების შესახებ

რესურსებზე წვდომა, ძალაუფლება და კონტროლი

ა) სოფლად მცხოვრები იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომელსაც აქვს საკუთრების ან გარანტირებული უფლებები სასოფლო-სამეურნეო მიწაზე, სქესის მიხედვით;

ბ) სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრების ან გარანტირებული უფლების მქონე მოსახლეობას შორის ქალთა წილი

სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონის მიხედვით მიწის მესაკუთრედ ითვლება პირი, რომელსაც რეგისტრირებული აქვს მიწა საჯარო რეესტრში

განმარტება


საქართველოს კონტექსტში მხოლოდ სოფლად მცხოვრებ პირს არ აქვს საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა

ინდიკატორი 5.ა.1.

ჯეოსტატის მონაცემები მიწის ფლობის სამ კატეგორიას გამოყოფს: საკუთრებაში არსებული; იჯარით აღებული და სარგებლობაში არსებული


საჯარო რეესტრი არ ფლობს ინფორმაციას მფლობელთა დასახლების ტიპის (სოფლად თუ ქალაქად) შესახებ

შედეგები



დასკვნა


გენდერული სტერეოტიპები, რომელიც პრაქტიკაში ტრადიციულ დამოკიდებულებებსა და ქცევებში გამოიხატება ხელს უშლის ქალებს ჰქონდეთ წვდომა ეკონომიკურ რესურსებზე. კონკრეტულად კი, ქალებს აქვთ ნაკლები წვდომა მემკვიდრეობაზე, ეკონომიკურ სესხებსა და სოფლის მეურნეობის სფეროში განათლების/გადამზადების მიღებაზე. რასაც ხელს უწყობს, არსებული წარმოდგენები და დამოკიდებულებები ქალის როლზე შინამეურნეობაში



ქალს აქვს თანაბარი უფლება მემკვიდრეობაზე, თუმცა პრაქტიკაში მათ არ მიუწვდებათ ხელი მემკვიდრეობაზე. საქართველოში ქალებს ნაკლები ინფორმაცია აქვთ თავიანთ უფლებებზე და ტრადიციული ნორმები განსაზღვრავს მათ დამოკიდებულებებსა და ქცევებს. არსებული სოფლის მეურნეობის პოლიტიკაც არ უწყობს ხელს ქალების გაძლიერებას, რომ მათ მიუწვდებოდეთ ხელი სასოფლო-სამეურნეო მიწაზე. მაგ: სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია

სამუშაოს დანაწილება ქალებსა და კაცებს შორის

5.4.1 აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო საქმიანობაზე დახარჯული დროის პროპორციული რაოდენობა სქესის, ასაკისა და ადგილის მიხედვით



შედეგები

მოცემული შედეგები მხოლოდ ირიბად ზომავს ინდიკატორს, ვინაიდან დროის გამოყენებაზე კვლევა არ ჩატარებულა

2011 წლიდან ჩატარებული კვლევების შედეგები თანმიმდევრულად წარმოაჩენს, რომ საოჯახო საქმიანობა არ არის თანაბრად გადანაწილებული ქალებსა და კაცებს შორის. საოჯახო საქმეებს, როგორცაა საქმლის მომზადება, სახლის დალაგება, ბავშვის მოვლა ძირითადად ქალები ასრულებენ, მაშინ როდესაც კაცები ძირითადად საოჯახო ნივთების შეკეთებაში არიან ჩართულები, რომელიც უმეტესწილად ერთჯერადი ხასიათისაა.

01

კვლევების მიმოხილვამ აჩვენა, რომ ახალგაზრდებში საოჯახო საქმეებში თანაბარი ჩართულობის მაჩვენებელი შედარებით მაღალია. დამოკიდებულებების შესწავლამ წარმოაჩინა, რომ გარკვეული საოჯახო საქმიანობა (მაგ: ბავშვის მოვლა, საქმლის მომზადება, დალაგება) ქალის საქმეა. მსგავსი დამოკიდებულებები და პრაქტიკები ხელს უშლის ქალებს თავიანთი რესურსების სახლის გარეთ რეალიზებასა და განვითარებაში

02

დასკვნა

მკვეთრად განსაზღვრული გენდერული როლები, ირიბად მიუთითებს რომ ქალები უფრო მეტ დროს ხარჯავენ აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო საქმიანობაზე, რაც გამოწვეულია გენდერული როლების ტრადიციული გაგებით



ვინაიდან არსებული კვლევები მხოლოდ საოჯახო საქმეებში როლების გადანაწილებაზე აკეთებს აქცენტს, მნიშვნელოვანია აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო საქმიანობაზე დახარჯული დროის შესახებ კვლევის ჩატარება

მადლობა
ყურადღებისთვის!

კვლევის ანგარიშის სრული
ვერსია ხელმისაწვდომია
შემდეგ [ბმულზე](#)

საკონტაქტო ინფორმაცია
nana@weresearch.ge
natia@weresearch.ge

